დოქტურანტურის დებულების დანართი N 6
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ოქტომბრის N 64/19 ოქმით

**ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის**

**სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის წესი, ძირითადი ეტაპები და მოთხოვნები**

დოქტორანტის კვლევით კომპონენტზე მუშაობის ხელშეწყობის მიზნით ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (სკოლის პროფესორის/ასოცირებული პროფესორის მიერ სკოლის საბჭოს წინაშე დოქტორანტურის საკვლევი თემატიკის წარდგენისა და დამტკიცების საფუძველზე) ქმნის დოქტორანტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სამი წევრის შემადგენლობით: დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და შესაბამისი ან მომიჯნავე (სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით) მიმართულების ორი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი. სკოლის საბჭოს წარდგინებით სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

**სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო:**

- განიხილავს და ამტკიცებს დოქტორანტის კვლევის კონცეფციას და საკვალიფიკაციო ნაშრომის სახელწოდებას;
- განსაზღვრავს (დოქტორანტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) დოქტორანტის მუშაობის თანმიმდევრობას და გრაფიკს;
- კონსულტირებას უწევს დოქტორანტს სასწავლო მოდულით გათვალისწინებულ მოდულებთან დაკავშირებით ( სასწავლო მოდულით გათვალისწინებული ძირითადი კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა და არჩევით კომპონენტებთან მიმართებით რჩევა) და ისმენს და აფასებს სადოქტორო სემინარებს სპეციალობის მოდულში.
- ახორციელებს სადოქტორო პროგრამით გაწერილი კვლევითი კომპონენტის (სადოქტორო ნაშრომი) მომზადებისა და წარდგენის ეტაპების მონიტორინგს(თითოეული ამ კომპონენტის წარდგენა ხდება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წინაშე), რითაც უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას ეფექტურად და შედეგიანად;
- ქმნის შესაძლებლობას დროულად დაკორექტირდეს/ აღმოიფხვრას შესაძლო გადაცდომები ან უზუსტობები კვლევის პროცესში, უზრუნველყოფილი იქნას

დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობის სწორი ორიენტირება (წარმოდგენილი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად/უარსაყოფად, მოსალოდნელი შედეგების თვალსაზრისით, კვლევის შერჩეული მეთოდების რელევანტურობისა და შედეგიანობის თვალსაზრისით და სხვა);

- სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო აფასებს წარმოდგენილ კვლევით კომპონენტებს( კრედიტების მინიჭების გარეშე) და სავალდებულო მინიმალური ბარიერის (51% პირობითი 100%-დან) გადალახვის შემთხვევაში უფლებას აძლევს დოქტორანტს გადავიდეს კვლევის შემდეგ ეტაპზე;
- ეხმარება (კონსულტირების ფორმატში) დოქტორანტს კვლევის სფეროსთვის რელევანტური და მეცნიერულად ღირებული სამეცნიერო ჟურნალის/ჟურნალების შერჩევაში კვლევის შედეგების პუბლიკაციის მიზნით;
- განიხილავს დოქტორანტის მიერ საერთაშორისო პუბლიკაციისთვის მომზადებულ სტატიას/სტატიებს (აფასებს "შესაძლებლისა" და „დასაშვების" მარკერთა გათვალისწინებით - ერთი მხრივ, სტატიის ფორმისა და შინაარსის გამართლებულობის, მეორე მხრივ კი, იმ ფორმალურ საზღვრებთან თავსებადობის განსაზღვრა, რომელშიც ადრესანტს შეუძლია საკუთარი შეტყობინების აგება და სტატიის გადაცემა პუბლიკაციისთვის) და აძლევს დოქტორანტს რეკომენდაციას პუბლიკაციისთვის;
- განიხილავს დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელთან ერთად მომზადებულ წინადადებას/პროექტს კვლევითი ან სხვა სახის სამეცნიერო აქტივობის (კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო მივლინება და სხვა) დაფინანსებასთან დაკავშირებით და შუამდგომლობით მიმართავს სკოლის საბჭოს.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო იკრიბება სულ ცოტა სემესტრში ერთხელ, მოწვევის გრაფიკი დამოკიდებულია დოქტორანტის განაცხადზე სპეციალობის მოდულით გათვალისწინებული სადოქტორო სემინარის ან კვლევითი კომპონენტის წარსადგენად მზაობის შესახებ, რომელსაც იგი უგზავნის საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს.

**კვლევითი კომპონენტის განხორციელება ხდება შემდეგი აუცილებელი ეტაპების დაცვით:**

- წინასწარი განაცხადის (მოიცავს კვლევის ჰიპოთეზას, საკვლევი საკითხის აქტუალობის, განსახორციელებელი კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულების დასაბუთებას და კვლევის სავარაუდო შედეგებს) წარდგენა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის;
- კვლევითი სემინარის წარდგენა (კვლევის თემატიკისთვის რელევანტური უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, კონცეპტუალური მიდგომებისა და კვლევის განხორციელებისათვის შერჩეული მეთოდების არგუმენტირებული მიმოხილვა) სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის;
- კოლოქვიუმის (დისერტაციის დამუშავებული ნაწილი დოქტორანტის შეხედულებისამებრ) წარდგენა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ განხორციელებული კვლევის სისწორის, სანდოობის და მიღებული შედეგების სიახლისა და მეცნიერული აქტუალურობის წარმოჩენა/შეფასებას.თვითშეფასების პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, რაც უზრუნველყოფს განვითარებაზე ორიენტირებული მექანიზმების შემუშავებასა და გამოყენებას.

***საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება ხდება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:***

- საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექსტის მოცულობა განსაზღვრულია 30-35 ათასი სიტყვით;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს არანაკლებ 100-120 დასახელების სამეცნიერო ლიტერატურას;
- ტექსტის გაფორმებისას გამოიყენება აკადემიური სტილი APA, შრიფტის ზომა 12 .